საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 18 მარტი, 2013 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/12

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტისა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

1. დამტკიცდეს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი, თანახმად დანართისა.

2. ძალადაკარგულად იქნას ცნობილი 2012 წლის 17 დეკემბრის № 17 დადგენილება „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

3. დადგენილებით იხელმძღვანელონ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, შესაბამისმა ფაკულტეტებმა და სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2013 წლის 18 მარტის № 04-01/12 დადგენილების
დანართი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესსა და პირობებს.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრების მომზადება პრაქტიკული ხასიათის პროფესიული საქმიანობისათვის.

3. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი ამ ეტაპზე ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს სწავლების მეოთხე და მეხუთე საფეხურებზე. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

4. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება ან წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარება.

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, დამტკიცება და შეფასების წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და პროფესიულ სტანდარტებთან.

2. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეიცავდეს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას და მისანიჭებელ კვალიფიკაციას (ქართულად და ინგლისურად) და იგი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ საკვალიფი-კაციო ჩარჩოს და პროფესიულ სტანდარტებს;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დახასიათებას (პროგრამის მიზანი და აქტუალობა, დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით აღწერილი პროგრამის შედეგები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა პროფესიული განათლების შემდეგ საფეხურზე);

გ) ინფორმაციას პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესახებ;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას;

ე) პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების სასწავლო კურსების/მო-დულების სილაბუსს;

ვ) სწავლის/სწავლების მეთოდებს და პროფესიულ სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას;

ზ) მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა მაქსიმალურ კონტინგენტს;

თ) დასაქმების სფეროს შესწავლის შედეგებს.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეიცავდეს:

ა) ინფორმაციას სწავლის შესაძლო გაგრძელების შესახებ.

ბ) სწავლის შედეგების რუკას.

4. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამას და იღებს გადაწყვეტილებას მისი მიზანშეწონილობის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა ეგზავნება ხელოვნების უნივერსუტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, მის მიზანშეწონილობას და დასამტკიცებლად წარუდგენს ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

5. დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დამოწმებული ასლი აკრედიტაციისთვის ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. კანონმდებლობით დადგენილი წესით, აკრედიტაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ ცხადდება პროგრამაზე მიღება.

6. აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის ოდენობას პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელი და განსახილვევლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

7. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

8. პროგრამის განხორციელების შემთხვევაში სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ფაკულტეტის საბჭო სხდომაზე ისმენს პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშს მისი მიმდინარეობის შესახებ, ამ პროცესში არსებული ხარვეზების თუ სხვა სახის პრობლემების თაობაზე. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

9. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ჩასატარებელი აქტივობების კოორდინაცია ევალება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

10. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხელოვნების უნივერსიტეტში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიური შეფასება.

11. საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე ხორციელდება პროგრამის განახლება, მოდიფიცირება.

12. საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება განახლებას. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებ(ებ)ის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

13. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას კოორდინირებას უწევს ხელოვნების უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

14. პროგრამების შეფასებას საწყის ეტაპზე ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

15. შეფასების პროცესში ჩართული არიან პროგრამის ბოლო წლის სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები.

16. შეფასების პროცესი იწყება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ანკეტირებით (სპეციალური კითხვარების საშუალებით).

17. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კითხვარების ანალიზის, სტუდენტთა რეიტინგული მონაცემებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების შეჯერების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებლად.

18. რეკომენდაციები ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს.

19. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით პროგრამაში შესული ცვლილება მტკიცდება აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

20. საგანმანათლებლო პროგრამის შეცლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტს საშუალება აქვს აირჩიოს სხვა საგანმანათლებლო პროგრამა, გადავიდეს სასწავლებლად სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან გაუქმებამდე არსებული პროგრამა გაიაროს ინდივიდუალური სწავლების წესით. სტუდენტის ინდივიდუალურ სწავლებაზე გადასვლის ან საგანმანათლებლო პროგრამის შეცლის თაობაზე დეკანის შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვეტილებას ღებულობს რექტორი.

21. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს კურსდამთავრებულთა დასაქმების, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალიწინებით პროგრამის აქტუალობის მონიტორინგს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის ეფექტურობის ასამაღლებლად.

მუხლი 3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წინაპირობები და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის და ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე და ხელოვნების უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით:

ა) ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების (IV საფეხური), კინოტელეოპერატორისა (IV საფეხური) და მონტაჟის რეჟისურის (IV საფეხური) პროფესილ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტის ჩაბარებით.

ბ) ქორეოგრაფ-რეპეტიტორის (IV საფეხური) და ჯაზის (ინსტრუმენტალისტი/ვოკალისტი - V საფეხური) უმაღლეს პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტის ჩაბარებისა და შემოქმედებითი ტურის/ტურების საფუძველზე.

გ) ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების (V საფეხური), მონტაჟის რეჟისურის (V საფეხური) და ქორეოგრაფ-რეპეტიტორისა (V საფეხური) ჩარიცხვა ხორციელდება შესაბამისი სპეციალობის IV საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის საფუძველზე. შესაძლებელია მომიჯნავე სპეციალობის IV საფეხურის კომპეტენციების აღიარება შიგა ტურის საფუძველზე.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) პირადი განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ასლი.

დ) მომდევნო საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში – წინა საფეხურის პროფესიული დიპლომი ან მასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტი, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი, ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების გამოცდის სერტიფიკატი;

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე, პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურის შესაბამისად.

4. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა დადგენილი ქვოტის ფარგლებში ხდება განცხადებისა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში მითითებული დოკუმენტების საფუძველზე.

5. კონკურსის შემთხვევაში, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას უპირატესობის განსაზღვრა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის და შემოქმედებითი ტური/ტურების შედეგების საფუძველზე.

6. უცხო ქვეყნის მოქალაქეები, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართავენ განცხადებით სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში და წესით.

7. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აბიტურიენტის ჩარიცხვა ფორმდება რექტორის ერთიანი აქტით. რექტორის აქტი გამოიცემა მხოლოდ ზოგადი განათლების საფეხურის (პროფესიული პროგრამის საფეხურის და პროფესიული სტანდარტის შესაბამისად) დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

8. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემები დაწესებულებას ჩარიცხვის ბრძანების გამოცემიდან 7 დღის ვადაში შეაქვს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსი

1. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეიძლება შეუწყდეს:

ა) პირადი სურვილით;

ბ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულების, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობის, შინაგანაწესით ან პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელების შემთხვევებში.

გ) გარდაცვალების გამო;

დ) ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიუტეტის შინაგანაწესის და ფაკულტეტის დებულებით დადგენილი სხვა წესების დარღვევის გამო;

2. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეიძლება შეუჩერდეს:

ა) აკადემიური შვებულების აღების შემთხვევაში;

ბ) უცხო ქვეყნის სასწავლებელში გადასვლა (არა უმეტეს 2 წლის ვადით);

გ) ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში სწავლების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში;

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს რექტორი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე;

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

5. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის პროცესი ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №10/ნ 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი“ შესაბამისად.

6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის შესახებ სამართლებრივ აქტს გამოსცემს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხდება სასწავლო პროგრამის (გეგმის) შესაბამისად. სასწავლო პროგრამა გულისხმობს სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი სასწავლო გეგმის შინაარსს, მოცულობასა და ათვისების წესს.

2. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სასწავლო საქმიანობის მოცულობის განსაზღვრისათვის გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც ასახავს სტუდენტის მიერ საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს.

3. სწავლების პირველ საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ფორმა შეიძლება მოიცავდეს:

ა) ლექციას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას და პრაქტიკულ მეცადინეობებს.

ბ) დამოუკიდებელ მუშაობას.

გ) სხვადასხვა სახის პრაქტიკებს და სხვა.

დ) პროფესორ-მასწავლებელთა კონსულტაციები პროფესიულ სტუდენტებთან.

4. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დასაბუთებულად მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის (გეგმის) შედგენა და მონაწილეობა მიიღოს მის შემუშავებაში.

5. აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალი ვალდებულია თავისი ინდივიდუალური დატვირთვის ფარგლებში აწარმოოს სასწავლო პროცესი თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტებს საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო კურსის პროგრამით (სილაბუსით)

გათვალისწინებული განათლება. ასახოს კონკრეტული სასწავლო კურსის/მოდულის გეგმით გათვალისწინებული კრედიტების მიღების პირობები სილაბუსში, რომელიც წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროფესიული სტუდენტებისთვის. სილაბუსში უნდა აისახოს:

ა) სასწავლო კურსის მოდულის დასახელება;

ბ) სასწავლო კურსის სტატუსი;

გ) სასწავლო კურსის ხანგრძლივობა;

დ) სასწავლო კურსის მოცულობა კრედიტებში, საათების განაწილება საკონტაქტო და დამოუკიდებელ სამუშაოს შორის;

ე) ინფორმაცია სასწავლო კურსის განმახორციელებლის შესახებ (სახელი, გვარი, საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი);

ვ) სასწავლო კურსის/მოდულის მიზანი;

ზ) სასწავლო კურსის/მოდულის შესწავლის წინაპირობები;

თ) სასწავლო კურსის ფორმატი;

ი) სწავლის/სწავლების მეთოდები;

კ) სასწავლო კურსის შინაარსი;

ლ) სასწავლო კურსის შესწავლის შედეგები (აღწერილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით);

მ) ცოდნის შეფასების სისტემა, შეფასების მეთოდენი და კომპონენტები;

ნ) სავალდებულო ლიტერატურა;

ო) დამატებითი ლიტერატურა;

6. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში კრედიტის მიღება ხდება მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ცოდნის შეფასებისთვის ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

7. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტის შეფასების 100-ქულიანი მრავალკომპონენტიანი სისტემა, სტუდენტის მიერ გაწეული საქმიანობის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას.

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

8. შეფასების სისტემაში შუალედური შეფასების (მიმდინარე შეფასებები და შუალედური შემოწმემები) წილი განისაზღვრება 60%-ით, დასკვნითი გამოცდის წილი - 40 %-ით.

9. საპატიო მიზეზით შუალედური შემოწმების გაცდენის შემთხვევაში სტუდენტს დეკანის გადაწყვეტილებით უფლება აქვს აანაზღაუროს აღნიშნული შეფასებები დასკვნით გამოცდამდე;

10. საპატიო მიზეზით შუალედური შემოწმების გაცდენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს დეკანის გადაწყვეტილებით უფლება აქვს აანაზღაუროს აღნიშნული შეფასებები საბოლოო გამოცდამდე;

11. პროფესიული ვალდებულია სემესტრის განმავლობაში შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 11 ქულისა. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი დასკვნითი გამოცდაზე არ დაიშვება.

12. პროფესიული სტუდენტის შეფასებები კომპონენტების მიხედვით ფიქსირდება შეფასების უწყისში.

13. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი

ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%

გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%

დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%

ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ვ) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი სამუშაო აქვს შესასრულებელი და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება (დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდებს შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლები 10 დღისა);

ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები. სტუდენტს საგანი ხელმეორედ აქვს შესასწავლი.

14. სტუდენტი ,,ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე:

ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე (ანუ სემესტრში შუალე-დური შეფასებებით დააგროვა 11 ქულაზე ნაკლები);

ბ) ჩაიჭრა (მიიღო (F) შეფასება) დასკვნით ან დამატებით გამოცდაზე.

15. პროფესიულ სტუდენტს, რომლის შეფასება არის (FX), ან არ გამოცხადდა გამოცდაზე უფლება აქვს ერთხელ გავიდეს დამატებით გამოცდაზე. თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო შეფასება ,,(FX) ვერ ჩააბარა“, ან არ გამოცხადდა გამოცდაზე, მას სასწავლო კურსი ხელმეორედ ექნება შესასწავლი მას დაუფიქსირდება შეფასება (,,F“) ჩაიჭრა.

16. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების მიზნით პროფესიული სტუდენტი სასწავლო წლის დაწყებამდე, არა უგვიანეს 10 დღისა, გადის აკადემიურ რეგისტრაციას, რაც გულისხმობს პროგრამით შესაბამისი კრედიტების დაგროვებაზე ვალდებულების აღებას (აფორმებს სასწავლო ხელშეკრულებას). რეგისტრაცია ხდება შემდეგი წესის მიხედვით:

ა) აკადემიური რეგისტრაციის დროს პროფესიული სტუდენტს უფლება აქვს თითოეული სემესტრისათვის დაარეგისტრიროს კრედიტის ისეთი რაოდენობის სასწავლო კურსები, რომ წელიწადში კრედიტების რაოდენობამ არ შეადგინოს 75 კრედიტზე მეტი.

17. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულია მხოლოდ შემოქმედებითი პროექტის მომზადება. შემოქმედებითი პროექტის დაცვისა და შეფასების კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში.

18. თუკი პროფესიული სტუდენტი, საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილ ვადაში ვერ შეასრულებს შესაბამისი პროგრამის მოთხოვნებს, მას ეძლევა ასათვისებელი კრედიტების მიღების შესაძლებლობა დამატებით სემესტრში. ასეთი სემესტრის სწავლის საფასურის გადახდა მოხდება ამ საგანმანათლებლო პროგრამი-სათვის იმ დროს არსებული წლიური გადასახადის მიხედვით;

19. საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების ან/და დამატებითი ვადის ამოწურვისთანავე პროფესიული სტუდენტს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 6. კვალიფიკაციის მინიჭების წესი

1. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნათა სრულად შესრულების შემთხვევაში, რექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტით თითოეული

სპეციალობისთვის იქმნება საკვალიფიკაციო კომისიები მინიმუმ 5 წევრის შემადგენლობით. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ:

ა) ფაკულტეტის დეკანი;

ბ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

გ) შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

დ) ფაკულტეტის მდივანი.

2. საკვალიფიკაციო კომისიაში შეიძლება შევიდნენ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამაგავლილი პირის დამსაქმებელი უწყებების წარმომადგენლები.

3. საკვალიფიკაციო კომისია:

ა) დეტალურად შეისწავლის თითოეული პროფესიული სტუდენტის პირად საქმეს;

ბ) ადგენს, შესრულებული აქვს თუ არა პროფესიული სტუდენტს პროგრამის მოთხოვნები;

გ) პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის მოთხოვნათა შესრულების შემთხვევაში ამზადებს შესაბამის დასკვნას ფაკულტეტის საბჭოსათვის;

დ) პირად საქმეში ხარვეზების არსებობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტს აძლევს მათი გამოსწორებისათვის აუცილებელ ვადას და საჭირო რეკომენდაციებს.

4. საკვალიფიკაციო კომისიის დასკვნაში უნდა აღინიშნოს თითოეული კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და სპეციალობის დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

5. პირს, რომელიც სრულად შეასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა პროფესიული დიპლომი, სტანდარტული დანართით.

6. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა, უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და ეძლევა სათანადო მოწმობა.

7. გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ასევე გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ღებულობს ფაკულტეტის საბჭო, რის საფუძველზეც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

მუხლი 7. განსაკუთრებული შემთხვევები

განსაკუთრებულ შემთხვევებში, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია გამონაკლის(ებ)ის დაშვება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წინამდებარე წესში.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

სწორია: